

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

„.....“ „.....“ 2015 წელი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სახალხო დღესასწაულის „მატილობის“ ორგანიზების მომსახურებაზე გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სახალხო დღესასწაულის „მატილობის“ ორგანიზებაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერები (SPA 150021933 და SPA 150022450) არ შედგა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში „მატილობის“ ჩატარებასთან დაკავშირებით ტენდერის მესამედ ჩატარებას, გარკვეული დრო სჭირდება, („მატილობა“ ტარდება 2015 წლის 05 სექტემბერს) რის გამოც „მატილობის“ ორგანიზება შეუძლებელი გახდება და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სახალხო დღესასწაულის „მატილობის“ ორგანიზების მომსახურება განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

/გ. ლაფანაშვილი/